

შპს სი ემ თი-ის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ახსნა-
განმარტებითი შენიშვნები

შპს სი ემ თი

ს/ნ 405371627

ფინანსური ანგარიშგება 2024 წელი

შპს სი ემ თი-ის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

სარჩევი

სარჩევი.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
ანგარიშგება ფინანსური შედეგების შესახებ.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6
1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი აღწერა.....	6
2. წარდგენის საფუძველი.....	6
3. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	7
4. უცხოური ვალუტა.....	7
5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....	8
6. ძირითადი საშუალებები.....	8
7. ცვლილება ძირითად საშუალებებში.....	9
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	10
9. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები.....	10
10. ამონაგების აღიარება.....	11
11. ხარჯები.....	11
12. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი.....	12
13. გადასახადები.....	12
14. კაპიტალი.....	12
15. ბუღალტრული მსჯელობები და დაშვებები.....	12

შპს სი ემ თი-ის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	შენიშვნა	31-Dec-24	31-Dec-23
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		102 910	230292
სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები		114052	89484
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		10953	8337
მარაგები		262590	238888
- საქონელი და შუა პროდუქცია		262590	238888
სხვა მიმდინარე აქტივები		0	0
ძირითადი საშუალებები		940498	1041469
სულ აქტივები		1 431 003	1 608 470

ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		0	14445
საგადასახადო ვალდებულებები		42335	23589
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		164234	609841
სხვა ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		206 569	647 875

საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1 224 434	960 595
სულ საკუთარი კაპიტალი		1 224 434	960 595
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1 431 003	1 608 470

შპს სი ემ თი-ის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ანგარიშგება ფინანსური შედეგების შესახებ

2024 წელი

დასახელება	შენიშვნა	2024	2023
ნეტო ამონაგები		2096012	2278152
საქონლის გაყიდვიდან		853060	1019898
მომსახურების გაწევიდან		1242952	1258254

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(495449)	(532814)
საერთო მოგება		1 600 563	1 745 338

სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	30930
დასაქმებულთა ანაზღაურება		(404036)	(485800)
ცვეთა და ამორტიზაცია		(173 804)	(117 341)
საპროცენტო ხარჯი :		(120558)	(228678)
საპროცენტო შემოსავალი		681	-
იჯარის ხარჯი		-	(3021)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(388752)	(391044)
სულ საოპერაციო ხარჯები		(933 570)	(112 383)
საოპერაციო მოგება		666 993	632 955

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(11562)	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		655431	632,955
მოგების გადასახადი		(58960)	(51455)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		596,471	581,500

შპს სი ემ თი-ის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წელი

დასახელება	შენიშვნა	თანხა
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		960 595
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(332 632)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		596 471
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1 224 434

შპს სი ემ თი-ის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „სი ემ თი“ ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს „სი ემ თი“ ს/კ (405371627) დაარსდა 2019 წელს 30 დეკემბერს, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

რეგისტრირებული იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 14, ბინა 59

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ანდრონიკაშვილი 28

დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2024 წელს შეადგენს 14 ადამიანს. (2023 წელს- 10)

კომპანიის დამფუძნებელს წარმოადგენს: გიორგი ჩხარტიშვილი, 01008040448 100 %-იანი წილის მფლობელი.

კომპანიის დირექტორია: გიორგი ჩხარტიშვილი, 01008040448

კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს უსაფრთხოების დამცავი ბადეებით ვაჭრობა, მომსახურება, იმპორტი და ასევე კომპურა ამწეების გაქირავება.

2. წარდგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) საფუძველზე.

2.2 საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

2.3 მომზადების საფუძველი

შპს სი ემ თი-ის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულებებზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიების აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალების განხილულია ქვემოთ მითითებულ შენიშვნებში.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ეყრდნობა შემდეგ ძირითად დაშვებებს:

დარიცხვის მეთოდი - სამეურნეო ოპერაციების შედეგები და სხვა მოვლენები აღიარდება მათი მოხდენისთანავე;

ფუნქციონირებადი საწარმო - აღრიცხვა გაგრძელდება მინიმუმ ერთი წელი მაინც.

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის ალბათობა მაღალია არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა მსჯელობს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების შესახებ, რომლის დროსაც მიღებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე.

2.4 საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია და წარმოდგენილია ქართულ ლარში. უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშგებაში ხორციელდება ოპერაციების განხორციელების დღეს არსებული კურსის გამოყენებით.

3. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს კომპანიის საბანკო ანგარიშებზე რიცხულ თანხას.

4. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით.

შპს სი ემ თი-ის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას უცხოურ ვალუტაში არსებული მუხლების გადაფასებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

ვალუტა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი/აშშ დოლარი	2,8138	2.6894
ლარი/ევრო	2,9306	2.9753

5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მარაგების მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული მათი დასრულებისა და გაყიდვის დანახარჯები.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ხარჯი, თუ ამის აუცილებლობა არსებობს.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლების შემდეგ;

ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში;

ზარალი, რომელიც წარმოშობილია ძირითადი საშუალების ჩამოწერიდან აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში, ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება აღიარდება ხარჯებში, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

შპს სი ემ თი-ის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

კომპანია ძირითად საშუალებებს ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადა ფასდება კომპანიის მენეჯმენტის გონივრული მსჯელობის საფუძველზე. თუ რამე განსაკუთრებული პირობა არ არსებობს, კომპანია იყენებს შემდეგ სასარგებლო მომსახურების ვადებსა და საპროცენტო განაკვეთებს:

ცხრილი: ძირითად საშუალებებზე გამოყენებული ცვეთის ნორმები

ძირითად საშუალებათა ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა	ცვეთის ნორმა
მანქანა დანადგარი	10	10%
შენობა -ნაგებობა	30-40	5%
სატრანსპორტო საშუალებები	5	10-20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5	10-20%
სხვა	5-10	10-20%

არამატერიალურ აქტივებს, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა ცნობილია, ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ხოლო, იმ არამატერიალურ აქტივებს რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა უცნობია, სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს. ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის კომპანია არ ფლობს საკუთარ არამატერიალურ აქტივებს.

7. ცვლილება ძირითად საშუალებებში

კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს **940,498** ლარს, 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს **1,041,469** ლარს, ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით და შემცირებულია დაგროვილი ცვეთის ღირებულებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

შპს სი ემ თი-ის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

აღწერა	შენიშვნა- ნაგებობა	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრისთვის	134739.28	44181	857735.12	4813.53	1,041,469
დამატება		52,675.50	23,305.08	508.00	76,489
გასვლა		54,450.00			54,450
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	134,739.28	62,126.50	881,040.20	5,321.53	1,083,228
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრისთვის	7,091.54	8,293.00	242,515.94	1,735.11	259,636
წლის ცვეთა	7,091.54	4,134.51	107,994.40	1,337.98	120,558
ჩამოწერა		9,427.00			9,427
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	14,183.08	3,000.51	350,510.34	3,073.09	370,767
საბალანსო ღირებულება	127,647.74	59,125.99	749,740.72	3,983.55	940,498

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომელთაც პროცენტი არ ერიცხება აღირიცხება ნომინალური ღირებულებით. ამოუღებელი თანხების სავარაუდო ოდენობის შესაბამისი ანარიცხები აღიარდება მოგება-ზარალში მაშინ, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

9. დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც

ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

10. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

(ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

(გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს;

და (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება;

შპს სი ემ თი-ის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

11. ხარჯები

კომპანია ხარჯებს აღიარებს დარიცხვის მეთოდით, მათი გაწევისთანავე. წინამდებარე ანგარიშგებაში ხარჯები წარმოდგენილია მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯის მუხლი მოიცავს ისეთ ხარჯებს, როგორიცაა: საბანკო მომსახურების ხარჯი (14 943 ლარი), კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯი (1680 ლარი), დაზღვევის ხარჯი (3582 ლარი) და სხვ.

12. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი /ხარჯი შედგება ისეთი მუხლებისგან, რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული კომპანიის სამეურნეო საქმიანობასთან.

13. გადასახადები

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადს იხდის როგორც მოგების განაწილების შემთხვევაში, ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-98-ე მუხლებით განსაზღვრულ შემთხვევებშიც. ამასთან, კომპანიას მოგების განაწილებისას წარმოეშება ჩათვლის უფლება 2017 წლის 01 იანვრამდე არსებულ პერიოდში ყოველწლიური მოგების გადასახადის წესით დარიცხულ და გადახდილ მოგების გადასახადზე.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა კომპანიას აკისრებს ვალდებულებას შეასრულოს საგადასახადო აგენტის ფუნქცია, რაც გულისხმობს დაიანგარიშოს, გადახდის წყაროსთან დაკავოს და ბიუჯეტში შეიტანოს საშემოსავლო გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის სახელფასო ვალდებულებების შესრულებასთან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2017 წელს ძალაში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე დღ-ს გადამხდელი კომპანიები ვალდებულნი არიან დღგ გადაიხადონ მიღებული ავანსებიდანაც, ხოლო აღნიშნული თანხებით შეამცირონ მომავალში საქონლის/მომსახურების მიწოდებისას გადასახდელი დღგ-ს თანხა.

ამასთან, კომპანია ასრულებს ყველა საგადასახადო ვალდებულებას, რაც მოითხოვება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით.

14. კაპიტალი

კომპანიის საკუთარი კაპიტალი ფორმირებულია გაუნაწილებელი მოგებისგან. საანგარიშგებო პერიოდში საკუთარ კაპიტალში ცვლილება გამოწვეულია როგორც საანგარიშგებო პერიოდში მიღებული მოგებით (596 471 ლარი), ასევე დივიდენდის გატანით (332 632 ლარი).

15. მნიშვნელოვანი ბუღალტრული მსჯელობები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ასევე გაითვალისწინება მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული მოლოდინები, ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, არსებულ სიტუაციასთან შესაბამისობის მიზნით.

a. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ხელმძღვანელობა შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით, მიღებული სააღრიცხვო შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს რეალური შედეგისგან. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება რეგულარულად. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდსათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადა

მენეჯმენტი შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადა, და დარწმუნებულია რომ იგი არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, ფინანსური ანგარიშგება განსხვავებული იქნება.

უიმედო ვალი

ხელმძღვანელობა აფასებს მისაღები დებიტორული დავალიანებების დონეს ისტორიულ გამოცდილებასა და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. დავალიანების ამოღების რეალური ვადა შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისგან.

b. ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიის საქმიანობის შედეგები წარსული გამოცდილების და მიმდინარე მოვლენებისა და გარემოებების გათვალისწინებით კვლავ ზრდას განაგრძობს.

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2024 წელს განაწილდა დივიდენდი 332 632 ლარის ოდენობით, 2023 წელს განაწილდა დივიდენდი 291 579 ლარი

დირექტორი: გიორგი ჩხარტიშვილი

